

უმადღესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, განხორციელების და  
განვითარების დებულება, დანართი №04

ახალი რედაქცი დამტკიცებულია

რექტორის ბრძანება №01-03 10.01.2023

რექტორი  ვ. ხვედელიძე



აკადემიური რეიტინგის  
სისტემა

ნდ №2-030101-04

**მუხლი 1. სარეიტინგო სისტემის ცნება**

1. შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტში (შემდგომში - ბნსუ) აკადემიური რეიტინგის სისტემა (შემდგომში - სარეიტინგო სისტემა) მიმართულია სასწავლო პროცესში ჩართულ პირთა თვითორგანიზების და თვითრეალიზების მხარდაჭერაზე;
2. სარეიტინგო სისტემის საფუძველია სწავლა-სწავლებისას სტუდენტთა მიერ მიღწეული შედეგები;
3. სტუდენტის პერსონალური რეიტინგი განიხილება როგორც მისი აკადემიური მოსწრების ერთ-ერთი მთავარი მაჩვენებელი;
4. სარეიტინგო სისტემა წარმოადგენს სტუდენტების მომზადების დონის შეფასების ობიექტურობის გაზრდის და სასწავლო პროცესის მართვის ერთ-ერთ ელემენტს, ბნსუ-ში განათლების ხარისხის გაუმჯობესებისა და ხარისხის მართვის სისტემის შემადგენელ ნაწილს.

**მუხლი 2. სარეიტინგო სისტემის მიზნები და ამოცანები**

1. სარეიტინგო სისტემის დანერგვის ძირითად მიზნებს მიეკუთვნება:
  - სტუდენტთა მოტივაციის გაზრდა, მათი ინტერესების გათვალისწინების და უკეთესი შედეგების მიღწევის სტიმულის შექმნის გზით და ბნსუ-ს კურსდამთავრებულთა მაღალი კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფისთვის პირობების შექმნა;
  - სტუდენტთა მიღწევების შეფასების ობიექტურობის გაზრდა, მათ შორის, სტუდენტის აკადემიური მიღწევების რეიტინგის მეშვეობით (ჯგუფში, კურსზე, ფაკულტეტზე, მთლიანად ბნსუ-ში);
  - სტუდენტთა მიღწევების მონიტორინგი პროგრამის კომპონენტის, საგანმანათლებლო პროგრამის, ფაკულტეტის, მთლიანად ბნსუ-ს დონეზე.
2. სარეიტინგო სისტემა ხელი უნდა შეუწყოს ისეთი ამოცანების გადაწყვეტას, როგორცაა:
  - პროგრამის კომპონენტის შესწავლის რეალური დატვირთვის დადგენა;
  - პროგრამის კომპონენტის შესწავლაზე სტუდენტის მიერ გაწეული შრომის ეფექტიანობის განსაზღვრა და შეფასება;
  - აკადემიური მოსწრების ასპექტში სტუდენტთა შორის შეჯიბრებობის ხელშეწყობა.
3. სარეიტინგო სისტემა სტუდენტებს აძლევს:
  - პროგრამული მასალის უკეთ ათვისების მიზნით სამუშაოს დაგეგმვის მოტივაციას;
  - თვითშეფასების, თვითკონტროლის და შეფასებების (ქულათა) ბიუჯეტირების შესაძლებლობას;
4. სარეიტინგო სისტემა პროგრამის კომპონენტის განმარტოვებულობისთვის (შემდგომში - ლექტორი) არის:
  - საქმიანობის თვითორგანიზებისა და განვითარების შესაძლებლობა;
  - სტუდენტთა მიერ პროგრამის კომპონენტის ათვისების კონტროლის მექანიზმი;
  - პროგრამის კომპონენტის ათვისებისთვის რეალურად საჭირო დატვირთვის განსაზღვრის და შეფასების კომპონენტების და მეთოდების ეფექტიანობის დადგენის მექანიზმი.
5. სარეიტინგო სისტემა პროგრამის ხელმძღვანელს აძლევს შესაძლებლობას:
  - შეაფასოს პროგრამების ათვისების ხარისხი (პროგრამით/პროგრამის კომპონენტებით დაგეგმილი შედეგების მიღწევის დონე);
6. სარეიტინგო სისტემა მართვის სუბიექტებს აძლევს შესაძლებლობას:
  - მოახდინონ პროგრამების განმარტოვებულობა (შემდგომში - ლექტორთა) მუშაობის ხარისხის კონტროლი;
  - დინამიკაში (აკადემიური წლების მიხედვით) შეაფასონ პროგრამების ათვისების ხარისხი როგორც ფაკულტეტების დონეზე, ისე და მთლიანად ბნსუ-ში.

**მუხლი 3. სარეიტინგო სისტემის ძირითადი პრინციპები**

1. სარეიტინგო სისტემა აიგება სტუდენტთა მიერ პროგრამის კომპონენტების ათვისების ხარისხის რაოდენობრივი შეფასების უწყვეტი დაგროვების პრინციპზე. შეფასების ობიექტებია სტუდენტის სასწავლო საქმიანობის შედეგები, რომლებიც იძლევიან მის ცოდნის, უნარების და შესაძლებლობების შეფასების საშუალებას, რომლებსაც აქვთ დოკუმენტური დადასტურება;
3. სარეიტინგო სისტემის ერთ-ერთ მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს სტუდენტთა დროული და ამომწურავი ინფორმირება შეფასების შედეგების შესახებ - სარეიტინგო სისტემის ღიაობა წარმოადგენს აუცილებელ პირობას.

**მუხლი 4. სტუდენტის რეიტინგი**

1. რეიტინგი - ეს არის ინდივიდუალური მაჩვენებელი (რიცხვი), რომელიც ასახავს კონკრეტული სტუდენტის აკადემიური მოსწრების მდგომარეობას სხვა სტუდენტებს შორის, რაც გამოიხატება სასწავლო პროცესის გარკვეული მომენტისთვის დაგროვილი ქულების რაოდენობით. რეიტინგი არის სტუდენტის ნომერი (ადგილი) სტუდენტთა საერთო სიაში, რომელიც იწყება ყველაზე მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტით;
3. ბნსუ-ში სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტების გადმოსვლის შემთხვევაში მათი რეიტინგი ითვალისწინებს ბნსუ-ს მიერ აღიარებულ კრედიტებს და შეფასებებს;
4. სტუდენტის რეიტინგი შეიძლება იყოს გამოყენებული სტიპენდიის დანიშვნის, სტიპენდიის ოდენობის, მატერიალური და არამატერიალური წახალისების საკითხის გადაწყვეტისას;
5. სტუდენტთა სარეიტინგო სიების შედგენას აკონტროლებს და საბოლოო შედეგებს აყალიბებს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი.

**მუხლი 5. სტუდენტის სარეიტინგო ქულის გამოთვლა**

1. სტუდენტის სემესტრის/აკადემიური წლის რეიტინგი განისაზღვრება სემესტრში/აკადემიურ წელს მიღებული შეფასებების (ქულების) დაჯამებით და ამ ჯამის გაყოფით სემესტრში/აკადემიურ წელს შესასწავლი პროგრამის კომპონენტების რაოდენობაზე, მაგ.:
  - 1) სემესტრის სასწავლო გეგმით/სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ პროგრამის ყველა კომპონენტში კრედიტი მიღებულია, მაშინ, მაგ.:
 

სემესტრში პროგრამის კომპონენტების რაოდენობა:	5;
პროგრამის კომპონენტების რაოდენობა, რომლებშიც კრედიტი მიღებულია:	5;
ამ კომპონენტებში მიღებული შეფასებები:	75, 72, 98, 90, 89
სარეიტინგო ქულის გამოთვლა:	$(75 + 72 + 98 + 90 + 89) : 5 = 84,8$ ანუ 85 ქულა
სემესტრის სარეიტინგო ქულა:	85 ქულა

ძირითადი დოკუმენტი: „უმჯობესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, განხორციელების და განვითარების დებულება“ - დანართი №04			
ნდ №2-030101- 01/04	ვერსია: 0	დამტკიცების აქტი: რექტორის ბრძანება №01-03, 10.01.2023	2-10



- 2) სემესტრის სასწავლო გეგმით/სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებული პროგრამის ყველა კომპონენტში კრედიტი მიღებული არ არის, მაშინ:  
 სემესტრში პროგრამის კომპონენტების რაოდენობა: 5;  
 პროგრამის კომპონენტების რაოდენობა, რომლებშიც კრედიტი მიღებულია: 3;  
 ამ კომპონენტებში მიღებული შეფასებები: 98, 90, 89  
 სარეიტინგო ქულის გამოთვლა:  $(98 + 90 + 89) : 5 = 55,4$  ანუ 55 ქულა  
 სემესტრის სარეიტინგო ქულა: 55 ქულა

**მუხლი 6. სარეიტინგო სისტემის გამოყენების სხვა ასპექტები**

1. სარეიტინგო ქულები შეიძლება იყოს გამოყენებული ერთსა და იმავე სასწავლო ჯგუფის მიერ პროგრამის სხვადასხვა კომპონენტებში შედეგების შედარების მიზნით, მაგალითად:

- 1) სასწავლო კურსი "A"  
 სტუდენტთა რაოდენობა, რომლებს შვისწავლიან სასწავლო კურსს: 7  
 მათ მიერ მიღებული შეფასებები (შემაჯამებელი შეფასებები): 61, 59, 90, 75, 85, 66, 54  
 სარეიტინგო ქულის გამოთვლა:  $(61 + 59 + 90 + 75 + 85 + 66 + 54) : 7 = 70,0$  ქულა  
 სემესტრის სარეიტინგო ქულა: 70 ქულა
- 2) სასწავლო კურსი "B"  
 სტუდენტთა რაოდენობა, რომლებს შვისწავლიან სასწავლო კურსს: 7  
 მათ მიერ მიღებული შეფასებები (შემაჯამებელი შეფასებები): 72, 95, 80, 85, 65, 86, 74  
 სარეიტინგო ქულის გამოთვლა:  $(72 + 95 + 80 + 85 + 65 + 86 + 74) : 7 = 79,5$  ანუ 80 ქულა  
 სემესტრის სარეიტინგო ქულა: 80 ქულა

დასკვნა: პროგრამის კომპონენტში "A" აკადემიური მოსწრება ნაკლებია, ვიდრე პროგრამის კომპონენტში "B". აუცილებელია საკითხის შესწავლა ქმედებების გატარება აკადემიური მოსწრების გაზრდის მიზნით.

2. ზემოთ მითითებული მეთოდი შეიძლება იყოს გამოყენებული იმ შემთხვევაში, თუ სხვადასხვა სასწავლო ჯგუფებს პროგრამის ერთსა და იმავე პროგრამის კომპონენტს ასწავლიან სხვადასხვა ლექტორები. სარეიტინგო ქულების არსებითი სხვაობის შემთხვევაში უნდა იქნეს შესწავლილი სხვაობის გამომწვევი მიზეზები;

3. სარეიტინგო სისტემა შეიძლება იყოს გამოყენებული, მაგ. შემდეგი მიზნებისათვის:

- ფაკულტეტის/ფაკულტეტის რეიტინგის დადგენა - ამ შემთხვევაში ჯამდება ფაკულტეტის სტუდენტების სარეიტინგო ქულები და ჯამი იყოფა სტუდენტთა რაოდენობაზე;
- ლექტორთა რეიტინგის დადგენის მიზნით - ამ შემთხვევაში თითოეული ლექტორისთვის ჯამდება ყველა მისი სტუდენტის სარეიტინგო ქულა და იყოფა სტუდენტთა რაოდენობაზე. ამ შემთხვევაში დგება ლექტორთა სარეიტინგო სია, რომელიც იწყება ყველაზე მაღალი რეიტინგის მქონე ლექტორით;
- თითოეული სტუდენტის / მთლიანად სასწავლო ჯგუფის პროგრესის დასადგენად - ამ შემთხვევაში ხდება რამდენიმე აკადემიური წლის სარეიტინგო ქულების შედარება და სიტუაციის ანალიზი.
- პროგრამის და მისი თითოეული კომპონენტის ათვისების პროგრესის დასადგენად - ამ შემთხვევაში ხდება რამდენიმე აკადემიური წლის სარეიტინგო ქულების შედარება და სიტუაციის ანალიზი.

4. ზემოთ აღნიშნული გამოიყენება აკადემიური მოსწრების შედარების და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვის მიზნით.

**მუხლი 7. სარეიტინგო სისტემის დანერგვა**

1. სარეიტინგო სისტემის დანერგვის და გამოყენების პასუხისმგებლობა ეკისრება ფაკულტეტის დეკანს. მის ვალდებულებაში შედის ინფორმაციის სისტემატური ანალიზი. რეიტინგი ტარდება ყოველ აკადემიურ წელს (არანაკლებ წელიწადში ერთხელ), ინფორმაცია მიეწოდება ფაკულტეტის საბჭოს, შემაჯამებელი ინფორმაცია არის ყოველწლიური ანგარიშის ნაწილი;
2. ფაკულტეტის დეკანი ვალდებულია უზრუნველყოს რეიტინგების შესახებ ინფორმაციის საჯაროობა და გამჭვირვალობა და მოახდინოს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის და სტუდენტების ინფორმირება სარეიტინგო სისტემის შესახებ.

**მუხლი 8. დანართები**

1. წინამდებარე დოკუმენტის განუყოფელ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს მისი დანართები, ასევე დოკუმენტები/ფორმები, რომლებიც შემუშავდა წინამდებარე შინაგანაწესის საფუძველზე. წინამდებარე დოკუმენტის დანართია:

- დანართი #01 - აკადემიური პერსონალის პირადი სარეიტინგო ქულა;
- დანართი #02 - სტუდენტთა პირადი სარეიტინგო ქულა;
- დანართი #03 - საგანმანათლებლო პროგრამების რეიტინგი;
- დანართი #04 - ფაკულტეტების და ფაკულტეტის დეკანების რეიტინგი;
- დანართი #05 - შემაჯამებელი სარეიტინგო ინფორმაცია.

**მუხლი 9. დასკვნითი დებულებები**

1. წინამდებარე დოკუმენტს და ცვლილებებს დოკუმენტში ამტკიცებს ბნსუ-ს რექტორი;
2. წინამდებარე დოკუმენტის ძალაში შესვლისთანავე უქმდება წინამდებარე დოკუმენტის ძალაში შესვლამდე მოქმედი დებულებები/ წესები, რომლებიც არეგულირებდნენ წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებულ საკითხებს;
3. წინამდებარე დოკუმენტის მუხლებს წინამდებარეული აქვს სათაურები ტექსტით სარგებლობის გასაადვილებლად, ეს სათაურები არ მიიჩნევა რომელიმე მუხლის განმსაზღვრელად, შემცველად ან განმმარტებლად;
4. წინამდებარე დოკუმენტის რომელიმე მუხლის/დებულების ძალადაკარგულად/მათილად ცნობა არ ვრცელდება დოკუმენტის სხვა მუხლებზე/დებულებებზე;
5. ყველა საკითხი, რომელიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე დოკუმენტით, რეგულირდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით;
6. წინამდებარე დოკუმენტი ძალას კარგავს ახალი დოკუმენტის დამტკიცების შემთხვევაში.

ძირითადი დოკუმენტი: „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, განხორციელების და განვითარების დებულება“ - დანართი №04			
ნდ №2-030101- 01/04	ვერსია: 0	დამტკიცების აქტი: რექტორის ბრძანება №01-03, 10.01.2023	3-10



დანართი №01

აკადემიური პერსონალის პირადი სარეიტინგო ქულა

სახელი, გვარი	სახელი, გვარი	ფაკულტეტი	
პერიოდი	202?-202?		

აკადემიური თანამდებობა	<input checked="" type="checkbox"/>	პროფესორი	<input type="checkbox"/>	ასოცირებული პროფესორი	<input type="checkbox"/>	ასისტენტ-პროფესორი
ადმინისტრაციული თანამდებობა	<input type="checkbox"/>					

№	აქტივობა	რაოდენობა	კოეფიციენტი	ჯამური ქულა
<b>1. მაჩვენებელი - სასწავლო-პედაგოგიური საქმიანობა</b>				
1.	სასწავლო კურსის განხორციელება		1.0	
2.	საბაკალავრო/სხვ. ნაშრომის ხელმძღვანელობა		1.0	
3.	საბაკალავრო/სხვ. ნაშრომის რეცენზენტობა		0.7	
4.	სამაგისტრო/სხვ. ნაშრომის ხელმძღვანელობა		1.5	
5.	სამაგისტრო/სხვ. ნაშრომის რეცენზენტობა		1.0	
6.	პრაქტიკის ხელმძღვანელობა		1.0	
7.	მოქმედი სასწავლო კურსის სრულყოფა-განახლება		1.0	
8.	სასწავლო კურსის მიზნებისთვის სალექციო მასალების, რიდელების, საილუსტრაციო მასალების, პრეზენტაციების და/ან სხვ. მომზადება		1.5	
9.	სასწავლო-პედაგოგიური მიმართულების სხვა საქმიანობა		0.5	
მაჩვენებლის სარეიტინგო ქულა				
<b>2. მაჩვენებელი - სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა (ბნსუ-ს სახელით/ბნსუ-ს გადაწყვეტილებით/ბნსუ-ს მიზნებისთვის)</b>				
1.	სამეცნიერო ნაშრომების (სახელმძღვანელო/ლექსიკონი/სხვ.) მომზადება		2.0	
2.	საერთაშორისო სამეცნიერო/დარგობრივ რეფერირებად და/ან რეგისტრირებულ სამეცნიერო ელექტრონულ გამოცემებში (ჟურნალებში/კრებულებში/სხვ.) პუბლიკაციების გამოქვეყნება		1.0	
3.	ადგილობრივ სამეცნიერო/დარგობრივ რეფერირებად და/ან რეგისტრირებულ სამეცნიერო ელექტრონულ გამოცემებში (ჟურნალებში/კრებულებში/სხვ.) პუბლიკაციების გამოქვეყნება		0.5	
4.	სასწავლო-მეთოდური მასალის/სხვ. მომზადება		1.5	
5.	სასწავლო-მეთოდური მასალის/სხვ. თარგმნა		1.0	
6.	სამეცნიერო/დარგობრივი გამოცემის სარედაქციო კოლეგიის წევრობა		0.5	
7.	სამეცნიერო/დარგობრივი ნაშრომის/პუბლიკაციის რედაქტორობა		1.0	
8.	სამეცნიერო/დარგობრივი ნაშრომის/პუბლიკაციის რეცენზენტობა		1.0	
9.	ბნსუ-ს სახელით საერთაშორისო/ადგილობრივ სამეცნიერო/დარგობრივ კონფერენციებში/სხვ. მონაწილეობა		1.5	
10.	ბნსუ-ს სახელით საერთაშორისო/ადგილობრივ სამეცნიერო/დარგობრივი კონფერენციისთვის/სხვ. მასალის მომზადება		1.0	
11.	სამეცნიერო-კვლევითი მიმართულების სხვა საქმიანობა (არსებობის შემთხვევაში)		0.5	
მაჩვენებლის სარეიტინგო ქულა				
<b>3. მაჩვენებელი - ბნსუ-ს სტუდენტთა ხელშეწყობის/მხარდაჭერის ღონისძიებებში მონაწილეობა</b>				
1.	საერთაშორისო/ადგილობრივ კონფერენციებში/სხვ. მონაწილეობისთვის სტუდენტთა მომზადება, ნაშრომების/პროექტების/სხვ. შესრულების ხელმძღვანელობა		2.0	
2.	ბნსუ-ს კონფერენციებში/სხვ. მონაწილეობისთვის სტუდენტთა მომზადება, მათ მიერ ნაშრომების/პროექტების/სხვ. შესრულების ხელმძღვანელობა		1.5	



3.	ბნსუ-ში ჩატარებული სტუდენტთა ხელშეწყობის/მხარდაჭერის ღონისძიებების (სპორტული, შემეცნებითი და/ან სხვ.) ორგანიზებაში და/ან განხორციელებაში მონაწილეობა		1.0	
4.	სტუდენტებისთვის დარგობრივი მასტერკლასების, სემინარების, ტრენინგების და/ან სხვ. ჩატარება		1.0	
5.	სტუდენტთა შემდგომი დასაქმების ხელშეწყობა (პოტენციურ დამსაქმებლებთან, დარგობრივ/სხვ. ორგანიზაციებთან კავშირების დამყარება/თანამშრომლობა, შეხვედრების, ერთობლივი ღონისძიებების, პოტენციურ დამსაქმებლებთან ვიზიტების მოწყობა და/ან სხვ.)		1.0	
6.	სტუდენტთა ხელშეწყობაზე/მხარდაჭერაზე მიმართული სხვა საქმიანობა (არსებობის შემთხვევაში)		0.5	
მაჩვენებლის სარეიტინგო ქულა				
<b>4. მაჩვენებელი - ბნსუ-ს განვითარებისა და განათლების ხარისხის სრულყოფის ხელშეწყობაში მონაწილეობა</b>				
1.	ახალი, მათ შორის, ერთობლივი და/ან გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში და/ან მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირებაში მონაწილეობა (სამუშაო ჯგუფში მუშაობა) და/ან ახალი სასწავლო კურს(ებ)ის მომზადება და/ან სხვ.		1.5	
2.	მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის განვითარების მიზნით - საქართველოს/ უცხოეთის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, დარგობრივ/სხვ. ორგანიზაციებთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან და/ან სხვ. თანამშრომლობა (ერთობლივი ღონისძიებების ორგანიზება, ამ ღონისძიებებში მონაწილეობა და/ან სხვ.)		1.0	
3.	ბნსუ-ში/ბნსუ-ს თანამონაწილეობით გამართული ადგილობრივი/საერთაშორისო ერთობლივი კონფერენციების/სემინარების/სხვ. ორგანიზებაში მონაწილეობა		0.5	
4.	ბნსუ-ში/ბნსუ-ს სახელით ბნსუ-ს პერსონალისთვის და/ან უცხოეთის/ საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებისთვის და/ან პერსონალისთვის ტრენინგების/მასტერკლასების/ სხვ. ჩატარება		1.0	
5.	ბნსუ-ში/ბნსუ-ს სახელით/თანამონაწილეობით სამეცნიერო ჟურნალების/კრებულების/სხვ. გამოცემის პროცესში მონაწილეობა		1.0	
6.	ბნსუ-ს სახელით/ბნსუ-ს მონაწილეობით საერთაშორისო/ადგილობრივი საგრანტო/ სამეცნიერო/პრაქტიკული/დარგობრივი/სხვ. პროგრამების/პროექტების/სხვ. მომზადება		1.0	
7.	ბნსუ-ს სახელით/ბნსუ-ს მონაწილეობით საერთაშორისო/ადგილობრივი საგრანტო/ სამეცნიერო/პრაქტიკული/დარგობრივი/სხვ. პროგრამების/პროექტების/სხვ. მომზადება-განხორციელება		1.5	
8.	წარმომადგენლობითი, აკადემიური, ფაკულტეტის საბჭოს წევრობა		1.0	
9.	ბნსუ-ში მოქმედი კომისიის (მაგ., კრედიტების აღიარების, საჯარო დაცვების, სხვ.) წევრობა		1.0	
10.	ადმინისტრაციული/დამხმარე/სხვ. თანამდებობის შეთავსება		0.5	
11.	ბნსუ-ს და ბნსუ-ში განათლების ხარისხის განვითარებაზე მიმართული სხვა საქმიანობა (არსებობის შემთხვევაში)		0.5	
მაჩვენებლის სარეიტინგო ქულა				

პირადი სარეიტინგო ქულა

ფაკულტეტის დეკანი: \_\_\_\_\_  
(ხელმოწერა)

თარიღი: \_\_\_\_\_

აკადემიური პერსონალი: \_\_\_\_\_  
(ხელმოწერა)



სტუდენტთა პირადი სარეიტინგო ქულა

ფაკულტეტი		საანგარიშო პერიოდი (აკადემიური წელი)	202 - 201
-----------	--	---	-----------

სტუდენტთა რეიტინგი (შეივსება განათლების საფეხურების და პროგრამების მიხედვით)

№	სტუდენტის გვარი, სახელი	პირადი სარეიტინგო ქულა	საგანმანათლებლო პროგრამა განათლების საფეხურის მითითებით
1.			
2.			
3.			
4.			
5.			

*შენიშვნა: ინფორმაციის მითითება დაიწყეთ ყველაზე მაღალი პირადი სარეიტინგო ქულით.*

ფაკულტეტის დეკანი : \_\_\_\_\_

(ხელმოწერა)

თარიღი: \_\_\_\_\_



საგანმანათლებლო პროგრამების რეიტინგი

ფაკულტეტი		საანგარიშო პერიოდი (აკადემიური წელი)	202 - 202
-----------	--	---	-----------

საგანმანათლებლო პროგრამების რეიტინგი (შეივსება უმაღლესი და პროფესიული პროგრამებისთვის, საფეხურების მიხედვით)

№	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება განათლების საფეხურის მითითებით	სარეიტინგო ქულა
1.		
2.		
3.		
4.		
5.		

*შენიშვნა: ინფორმაციის მითითება დაიწყეთ ყველაზე მაღალი სარეიტინგო ქულით.*

ფაკულტეტის დეკანი: \_\_\_\_\_

(ხელმოწერა)

თარიღი: \_\_\_\_\_



დანართი №04

ფაკულტეტების და ფაკულტეტის დეკანის რეიტინგი

ფაკულტეტები		საანგარიშო პერიოდი (აკადემიური წელი)	202? - 202?

ფაკულტეტის რეიტინგი, ფაკულტეტის დეკანის რეიტინგი

№	ფაკულტეტი (დასახელება)	სარეიტინგო ქულა	ფაკულტეტის დეკანი (გვარი, სახელი)	სარეიტინგო ქულა
1.				
2.				

*შენიშვნა: ინფორმაციის მითითება დაიწყეთ ყველაზე მაღალი სარეიტინგო ქულით.*

ფაკულტეტის დეკანი : \_\_\_\_\_  
(ხელმოწერა)

თარიღი: \_\_\_\_\_

ფაკულტეტის დეკანი : \_\_\_\_\_  
(ხელმოწერა)

თარიღი: \_\_\_\_\_

ძირითადი დოკუმენტი: „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, განხორციელების და განვითარების დებულება“ - დანართი №04			
ნდ №2-030101- 01/04	ვერსია: 0	დამტკიცების აქტი: რექტორის ბრძანება №01-03, 10.01.2023	8-10





შემაჯამებელი სარეიტინგო ინფორმაცია

ფაკულტეტი		საანგარიშო პერიოდი (აკადემიური წელი)	2021 -2022
-----------	--	---	------------

1. სტუდენტთა რეიტინგი (შეივსება განათლების საფეხურების და პროგრამების მიხედვით)

№	სტუდენტის გვარი, სახელი	პირადი სარეიტინგო ქულა	საგანმანათლებლო პროგრამა განათლების საფეხურის მიითითებით
1.			
2.			
3.			
4.			

შენიშვნა: ინფორმაციის მიითითება დაიწყეთ ყველაზე მაღალი პირადი სარეიტინგო ქულით.

2. საგანმანათლებლო პროგრამების რეიტინგი (შეივსება განათლების საფეხურების მიხედვით)

№	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება განათლების საფეხურის მიითითებით	სარეიტინგო ქულა
1.		
2.		
3.		
4.		

შენიშვნა: ინფორმაციის მიითითება დაიწყეთ ყველაზე მაღალი სარეიტინგო ქულით.

3. აკადემიური პერსონალის რეიტინგი

№	აკადემიური პერსონალი (გვარი, სახელი)	სარეიტინგო ქულა
1.		
2.		

შენიშვნა: ინფორმაციის მიითითება დაიწყეთ ყველაზე მაღალი სარეიტინგო ქულით.

4. ფაკულტეტის რეიტინგი, ფაკულტეტის დეკანის რეიტინგი

№	ფაკულტეტი (დასახელება)	სარეიტინგო ქულა	ფაკულტეტის დეკანი (გვარი, სახელი)	სარეიტინგო ქულა
1.				
2.				

შენიშვნა: ინფორმაციის მიითითება დაიწყეთ ყველაზე მაღალი სარეიტინგო ქულით.

ფაკულტეტის დეკანი : \_\_\_\_\_  
(ხელმოწერა)

თარიღი: \_\_\_\_\_

ფაკულტეტის დეკანი : \_\_\_\_\_  
(ხელმოწერა)

თარიღი: \_\_\_\_\_



ცვლილებების აღრიცხვის ფურცელი

ცვლილებების №	ცვლილებების თარიღი	ცვლილებების შინაარსი

ძირითადი დოკუმენტი: „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, განხორციელების და განვითარების დებულება“ - დანართი №04

ნდ №2-030101- 01/04	ვერსია: 0	დამტკიცების აქტი: რექტორის ბრძანება №01-03, 10.01.2023	10-10
---------------------	-----------	--	-------